ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

მარიკა მშვილდაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

მზის კულტის გავრცელების საკითხისათვის გვიან ანტიკური პერიოდის იბერია-კოლხეთში

ახ. წ. I-IV სს-ში იბერია და კოლხეთი ანტიკური ოიკუმენის ნაწილი იყო, სადაც ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული გავრცელებას იწყებს ანტიკური ღვთაებები. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დავადგინოთ, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ მზის კულტთან დაკავშირებით. რამდენად გავრცელდა მზესთან დაკავშირებული ღვთაებები რომის იმპერიიდან იბერიასა და კოლხეთში და რამდენად მოიკიდა ფეხი.

ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა პანთეონში მზის კულტთან დაკავშირებულია რამდენიმე ღვთაება: ჰელიოსი (ძვ. ბერძნ, Ἥλιος, Ἠέλιος), სოლი (ლათ. Sol) და აპოლონი (ძვ. ბერძნ. Απόλλων) (ნაწილობრივ), რომელთაც ემატება ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული აღმოსავლეთიდან რომის იმპერიაში შესული მზის კულტთან დაკავშირებული ღვთაებები: არიული მითრა (Mithras), სირიული ბაალი (Ba‘al), ელაგაბალუსი (ძვ. ბერძნ. Ἐλαγάβαλος, ლათ. Elagabalus ან Heliogabalus) მცირეაზიული მენი (Μήν, Mēn), ფრიგიული იუპიტერ დოლიხენუსი (Juppiter Dolichenus), თრაკიულ-ფრიგიურლი საბაძიოსი (ძვ. ბერძნ. Σαβάζιος)...

ნიშანდობლივია, რომ იმპერიაში ეს აღმოსავლური ღვთაებები საკმაოდ პოპულარულები იყვნენ, ადგილობრივ კულტებს ერწყმოდნენ და რომში მთავარ ღვთაებადაც კი ცხადდებოდნენ. მხედველობაში გვაქვს სირიული ელაგაბალუსი – ემესის ბაალი, რომელსაც დასავლეთში თაყვანს სცემდნენ მზე ელაგაბალუსის სახელით. „უძლეველი მზის“ (“Sol Invictus”) კულტი იმპერატორმა ჰელიოგაბალუსმა (Marcus Aurelius Antoninus Heliogabalus, 218-222 წწ.) სწორედ თავისი ქალაქიდან – ემესიდან (Ἔμεσα – სირია) რომში შეტანილი ღმერთის – ელაგაბალუსის მიმართ გამოიყენა. რომში მოიჭრა მონეტა იმპერატორ ჰელიოგაბალუსის გამოსა-

ხულებით, რომელსაც თავზე მზის სხივებიანი გვირგვინი ედგა.

დედაქალაქში ჩაიტანეს შავი ქვა, რომელიც ფიგურალურად ღვთაების სიმბოლოს გამოხატავდა. იმპერატორ ჰელიოგაბალუსის დროს, ელაგაბალუსი, შეიძლება ითქვას, იმპერიის მთავარ ღვთაებად იქცა. იმპერატორის სიკვდილის შემდეგ, შავი ქვა უკან იქნა გადატანილი ემესაში.[1]

ჰელიოსი (ძვ. ბერძნ. Ἥλιος, Ἠέλιος) – ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მზის ღმერთი, ტიტან ჰიპერიონის (Ὑπερίων) შვილია, საიდანაც მისი სახელი ჰიპერიონიდი იღებს სათავეს. ევრიპიდეს დროიდან ღვთაება გაიგივებული იყო აპოლონთან (ძვ. ბერძნ. Ἀπόλλων, ლათ. Apollo) – ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, სინათლის ღვთაებასთან. ძველ ბერძენ კოსმოლოგსა და მითოგრაფ ფერეკიდეს სიროსელთან (ძვ. ბერძნ. Φερεκύδης. ძვ. წ. VI ს.) ჰელიოსი გაიგივებულია ზევსთან (Ζεύς) (Ἰωάννης Λαυρέντιος Λυδός, Περὶ τῶν μηνῶν, IV 3).[2] თეაგენესთან (Θεαγένης. ძვ. წ. VII ს.) კი ჰეფესტოსთან (Ἥφαιστος)[3]...

რომაული მითოლოგიის მიხედვით, ჰელიოსს ძველი რომაული ღვთაება სოლი (ლათ. Sol) შეესაბამება (სურ. 1). პოპულარობის ზენიტს ღვთაება სოლმა იმპერიის პერიოდში მიაწია, როდესაც ანტიკურ სამყაროში ელინისტური პერიოდიდან არსებული რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად, იგი გაიგივებულ იქნა რომის იმპერიაში არსებულ როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ კულტებთან: მითრასთან, ჰელიოსთან, ელაგაბალუსთან, დიოსკურთან[4]... ახ. წ. 274 წელს იმპერატორ ავრელიანეს (Lucius Domitius Aurelianus, 270-274 წწ.) ბრძანებით „უძლეველი მზის“ კულტი (“Sol Invictus”), ტერმინი სათავეს იღებს სეპტიმიუს სევერუსის (Lucius Septimius Severus, 193-211) იმპერატორობის პერიოდიდან,[5] რომის იმპერიაში მთავარ სახელმწიფო ღვთაებად გამოცხადდა. ხოლო 25 დეკემბერი – მზის ბუნიაობის დღე – „უძლეველი მზის“ დღედ აქციეს. იმპერიაში არსებობდნენ საიდუმლო აღსრულების პონტიფიკოსების კოლეგი-

[1] Histoire des religions. Tome II. Paris. 1972, გვ. 57.

[2] Фрагменты ранних греческих философов. Часть I. Издание подготовлено А. В. Лебедевым (Иоанн Лид. О месяцах IV 3). Москва. 1989, გვ. 87; Jean Le Lydien (trad. Michel Dubuisson et Jacques Schamp). Des magistratures de l'État romain. Paris, Les Belles Lettres, coll. Collection des Universités de France. “CUF”. 2006. Tome 1-2. IV, 3.

[3] А. Ф. Лосев. Мифология греков и римлян. Москва. 1996, გვ. 341.

[4] ბონის მუზეუმში დაცულ კარნეოლის ინტალიოზე გამოსახული მხედარი მიჩნეულია ჰელიოს-დიოსკურის ფორმით გამოსახულ მითრად (Erika Zwierlein-Diehl. Siegel und Abdruck: antike Gemmen in Bonn. Bonn. 2002, გვ. 88-89, Kat. 89, Abb, 82).

[5] A. S. Hoey. Official Policy towards Oriental Cults in the Roman Army. Transactions and Proceedings of the American Philological Association. 70. 1939, გვ. 470, 479.

ები (Solis Pontifices), რომლებიც ყველა ღვთაების მზის გარშემო თავმოყრაზე მუშაობდნენ. ნიშანობლივია, რომ „უძლეველი მზის“ სახელით რომის იმპერიაში სამი ღვთაებაა წარმოდგენილი: სოლი, მითრა და ელაგაბალუსი.

რაც შეეხება ბერძნულ-რომაულ სამყაროში მზესთან დაკავშირებულ მესამე ღვთაება აპოლონს (ძვ. ბერძნ. Ἀπόλλων, ლათ. Apollo), იგი სხვადასხვა დანიშნულებებთან ერთად სინათლის ღვთაებასაც წარმოადგენდა. ძველ საბერძნეთში ძვ. წ. V საუკუნემდე მზეს მხოლოდ ჰელიოსი, ან ჰიპერიონი განასახიერებდა. ფოიბოსთან (ძვ. ბერძნ. Φοίβος, ლათ. Phoibos) – ბრწყინვალე, გასხივოსნებული, მანათობელი – აპოლონი პირველად ასიმილირებულ იქნა ჰომეროსთან (ილიადა, XXII, 359), ხოლო კლასიკურ მითოლოგიაში აპოლონის ეპითეტად იქცა. მზის სინონიმად, როგორც აღვნიშნეთ, პირველად გვხვდება ევრიპიდესთან (Euripide, frag. 781, 10-12) და ღვთაება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გაერთიანებული იყო კოსმიურ ღმერთებთან.[6]

ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული ღვთაება აპოლონი აღიქმებოდა როგორც მზისა და ცეცხლის ალეგორიული სახე.[7] გვიან ანტიკურ პერიოდში კი მზეს განასახიერებდა (სურ. 2). ჩვენ არ შევჩერდებით რომში აპოლონის კულტის წინასახესა და გავრცელებაზე. უბრლოდ აღვნიშნავთ, ეპოქათა მიჯნაზე – ძვ. წ. I-ახ. წ.I სს. – რომის იმპერიაში გადაფასებულ იქნა აპოლონის როლი და ღვთაება ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) მფარველ ღმერთად გვევლინება (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, 1,2; სვეტონიუსი, თორმეტი კეისრის ცხოვრება, ღვთაებრივი ავგუსტუსი, 94 (4). ოფიციალურ დონეზე პროპაგანდას უწევდნენ „ოქროს საუკუნისა“ და აპოლონის ეპოქის დასაწყისს, რომლის გარანტორადაც იმპერატორი – სახელმწიფოს მამა (“Pater Patriae”) და აპოლონი უნდა ყოფილიყვნენ. რაც შერწყმული იქნა ძველი რომის მორალთან – პიეტასთან (ლათ. Pietas). ოქტავიანე აპოლონს იულიუსების გვარის პატრონად და ენეასის (Αἰνείας) – ამ გვარის მითოლოგიური წინაპრის მფარველად თვლიდა.

მზის ღვთაებებთან დაკავშირებული არტეფაქტები დაფიქსირებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც იბერია-კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის არსებულ კულ-

[6] J. Haudry. Le feu dans la tradition indo-européenne. Archè Milano. 2016.
[7] А. Ф. Лосев. Античная мифология в её историческом развитии. Москва. 1957, გვ. 345-346.

ტურულ-პოლიტიკური კავშირის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ არ-ცთუ დიდი რაოდენობით.

უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ 1974 წელს აფსაროსის ციხეს-თან, ახლომდებარე მთაზე, გზის გაყვანისას ოქრომჭედლობის სხვა შესა-ნიშნავ ნიმუშებთან ერთად გონიოს განძში (ახ. წ. II-III სს.) აღმოჩენილი ჰელიოსის გამოსახულებიანი ოქროს მედალიონი (გულსაკიდი) (სურ. 3).[8] მედალიონი რელიგიური ხასიათისაა –მფლობელის რელიგიური ორიენ-ტაციის მაჩვენებელია. წარმართისა, რომელიც თავის თავს ღვთაება სო-ლის (ჰელიოსი) მფარველობის ქვეშ მყოფ პიროვნებად მიიჩნევდა.

რელიგიური ხასიათის გულსაკიდები საკმაოდ იყო გავრცელებული რომის იმპერიაში. შეიძლება ითქვას, მედალიონების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას წარმოადგენდა. სოლის (ჰელიოსი) გამოსახულე-ბები საკმაოდ ხშირად გვხვდება ანტიკური პერიოდი ხელოვნების ნიმუ-შებზე, ჭურჭელზე, ჭრაქებზე, მონეტებზე, სკულპტურის სახით (ბრიტა-ნეთის მუზეუმში, ლონდონი, დაცული რომაული ვერცხლის დისკო. ახ. წ. III ს. პესინუსიდან (Pessinus (Bala-hisar) – მცირე აზია) (სურ. 4),[9] რომაული ჭრაქი მიუნხენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმიდან (Antikensammlungen), ახ. წ. II ს. (სურ. 5).

ჰელიოსის (სოლი) გამოსახულებები ძირითადად დაფიქსირებულია იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებზე... მაგალი-თად, მცხეთაში, 1939 წელს სამთავროს სამაროვნის სამხრეთ მონაკვეთ-ზე დაზიანებულ ქვაყუთში A დაფიქსირებულ ვერცხლის ბეჭედში ჩას-მულ ოვალური ფორმის ამობურცულ სარდიონის ინტალიოზე ახ. წ. III ს. (ინვ. № 772S) (სურ. 6, 6 ა).[10] ღვთაებას ქიტონი აცვია. თავს სხივებიანი გვირგვინი უმკობს. მარჯვნივ ვარსკვლავია გამოსახული. აღნიშნული სი-უჟეტი ძალზედ გავრცელებულია რომაულ გლიპტიკაში. საკმაოდ უხეში ნამუშევარია. ინტალიოს სიგრძე – 12 მმ, სიგანე – 10 მმ. ვერცხლის ბეჭე-დის რკალი მრგვალი ფორმის, რომელიც ზემო ნაწილში ფართოვდება და ჰორიზონტალურ მხრებს ქმნის (ახ. წ. III ს.)

[8] ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელძე, დ. ხახუტაიშვილი. გონიოს განძი. თბ. 1980, გვ. 11, 23-24, ტაბ. XIX, XX.

[9] Silver leaf disc dedicated to the sun-god Sol, Roman. Pessinus ფოტოს ID: 01613062343. British Museum. ხელმისაწვდომია: https://www.bmimages.com/preview.asp?image=01613062343 ბოლო ნახვა: 01.12.2024.

[10] М. Максимова. Геммы из некрополя Мцхета-Самтавро. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XVI-B. 1950, გვ. 255-256, ტაბ. I. 41 (222-277).

ასევე ჰელიოსია (სოლი) გამოსახული ტოპაზის ინტალიოზე, რომელიც ოქროს მედალიონს ამკობს (ინვ. ж 1432) (I-II სს. ინახება სანქტ-პეტერბურგში, ერმიტაჟის მუზეუმში) სოფელ უსახელოდან (სურ. 7, 7ა). მედალიონი დამზადებულია ღია ყვითელი ფერის ოქროს ორი ფურცლისგან. მრგვალი მოყვანილობისაა... მედალიონის ცენტრალური ნაწილი ამოჭრილია, რომელშიაც ჩადგმულია თხელი ფირფიტისაგან გაკეთებული მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხა უძირო ბუდე, უფრო სწორედ სალტე, რომელიც მჭიდროდ ეკვრის ოქროს ტოპაზის ინტალიოს. ფირფიტაზე ცენტრალური ბუდის ირგვლივ ხანგამოშვებით დაჩრჩილულია 10 პატარა მრგვალი ბუდე ცისფერი მინისა და იისფერი თვლებით შემკული. ბუდეები „სალტეებისაგან“ არის გაკეთებული. ყოველი ბუდის ძირს გავარსის წყება ავლია... მედალიონის ნაპირზე დარჩილულია წნული მავთული; ზედა ნაწილში წვრილი გრეხილი მავთული... ცენტრალურ უძირო ბუდეში გემაა ჩასმული... გემა წარმოადგენს ინტალიოს, რომელსაც მკვეთრად ამობურცული ზურგი – „ქვედაპირი“ აქვს. იგი ღრმადაა ნაკვეთი და პირბრტყელია. ინტალიო ამოკვეთით „ძირისკენ“ და ზურგით ზევით არის ჩასმული. მისი ზურგი ამჯერად პირს წარმოადგენს. იგი ოქროსფერ ტოპაზზეა ამოკვეთილი. ამდენად, ღრმადნაკვეთი გამოსახულება ოქროსფრად გამოსჭვივის ზედმიწევნით გამჭვირვალე ქვაში. ინტალიოზე ძალიან ღრმად ამოკვეთილია გრძელი და ხვეულთმიანი ღვთაების ბიუსტი, რომლის თავს მზის სხივები ამკობს. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ნივთი განსაკუთრებული ტექნიკით არის შესრულებული, ე. ი. ჭრილა ქვის ოქროთი მოპირკეთების ტექნიკისთვის იყო გამიზნული. ამ შემთხვევაში ოქროს ფირფიტას თვით ქვის ფაქტურა ცვლის – ოქროსფერი ტოპაზი და იგი ოქროსავით კიაფობს. თავის დროზე ინტალიოს ძირზე რაიმე მუქი ფირფიტა იქნებოდა დაფენილი და ამით იგი საჭირო ეფექტს ახდენდა – გამჭვირვალე ქვაში ჩასმული ოქროს სკულპტურას ემსგავსებოდა. ინტალიო ადგილობრივი გლიპტიკის ნიმუშად არის აღიარებული.[11]

რაც შეეხება აპოლონის კულტს. საქართველოს ტერიტორიაზე აპოლონის კულტის გავრცელებასთან დაკავშირებით ჩვენი ინტერესი ლეონტი მროველთან დაცული ცნობითაც არის განპირობებული, როდესაც იგი ანდრია პირველწოდებულის საქართველოს ტერიტორიაზე მისიონერულ მიმოსვლას აღგვიწერს, მოციქულის სოსანგეთს ანუ აწყვერს (აწ-

[11] მ. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. თბ. 1969, გვ. 121-122, ტაბ. VII, 109-110.

ყური) შეჩერების შესახებ მოგვითხრობს, სადაც წარმართული ტაძარი მდებარეობდა: „ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონ“ და რომ ისინი „აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი“.[12] შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჩვენში აპოლონის ტაძარიც არსებობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქტავიანე ავგუსტუსიდან მოყოლებული აპოლონი იულიუსების გვარის პატრონად და ენეასის – ამ გვარის მითოლოგიური წინაპრის მფარველად ითვლებოდა. აპოლონის კულტი სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი. შესაბამისად, მისი თაყვანისცემის უზრუნველყოფა იმპერიის ტერიტორიაზე იმპერატორის ფუნქციას წარმოადგენდა. აპოლონის კულტის გავრცელება მეზობელ ქვეყნებში, რომის იმპერიას სახელმწიფო დონეზე ექნებოდა აყვანილი. წყაროდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული ახ. წ. I საუკუნეში, ჩვენში აპოლონის ტაძრის არსებობა. რომანიზაციის პროცესში, რომელსაც რომის იმპერია მეზობელ ქვეყნებში ახორციელებდა, რელიგიური ექსპანსია (რომაული წარმართობა) განსაკუთრებულ როლს თამაშობდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფაზისში აპოლონის ტაძრისა და აპოლონის კულტის არსებობა დასტურდება ჯერ კიდევ 1899 წელს ყუბანში აღმოჩენილ ვერცხლის ფიალაზე (ძვ. წ. V-IV სს. ინახება სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟის მუზეუმში) ბერძნული ენის იონიურ დიალექტზე შესრულებული წარწერით: „აპოლონ წინამძღოლისა ვარ, (რომელიც) ფაზისშია“. მეცნიერთა აზრით, ნივთი ფაზისში არსებული აპოლონის ტაძრის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც მისთვის იყო შეწირული, რაც კომპლექსური კვლევის შედეგად უნდა დადასტურდეს.[13]

ახ. წ. I-IV სასუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე აპოლონის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტი ცნობილია ფრ. ბაიერნის მიერ სამთავროს ტერიტორიაზე 1870-1877 წლებში მოპოვებული გლიპტიკური მასალიდან, რომელიც ა. ზახაროვას გამოქვეყნებული აქვს მოკლე კატალოგის სახით. სხვა გემებთან ერთად. საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა სამთავროს ტერიტორიაზე მოპოვებული მუქი ოვალური ფორმის ნარინჯისფერი სარდიონის ბრტყელი ინტალიო

[12] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 41.
[13] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ. 2009, გვ. 10.

ვერცხლის ბეჭედში[14] (სურ. 8) (ინვ. №327). ინტალიო ქვედაპირისკენ ფართოვდება. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგები დაქანებული აქვს. ინტალიოზე გამოხატულია ღვთაება აპოლონი პროფილში მარჯვნივ. თავს სხივებიანი გვირგვინი უმკობს. ღვთაება შიშველია. იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით გრძელ მათრახს ეყრდნობა. მარჯვენა მკლავზე ფარი აქვს დამაგრებული და ამავე ხელით სვეტს ეყრდნობა... ღვთაებას ზურგზე – მარცხენა მხარეს კაპაჭი უნდა ჰქონდეს წამოკიდებული. ვერცხლის ბეჭდის ორწახნაგა საკმაოდ განიერი რკალი მხრებთან სქელდება-ფართოვდება და ბრტყელ ბუდის ძირში – ფირფიტაში გადადის. ბეჭედს მაღალი ჰორიზონტალური მხრები აქვს. ინტალიოს სიგრძე – 15 მმ, სიგანე – 11 მმ. ბეჭდის დიამეტრი 17-20 მმ., ახ. წ. III ს.[15]

აპოლონის გამოსახულებაა აღმოჩენილი, აგრეთვე, 1951 წელს მცხეთის აკლდამაში დაფიქსირებულ ოვალური ფორმის ოდნავ ამობურცულ გრანატის (პიროპი) ინტალიოზე (ინვ. #28-51:15) (სურ. 9). ღვთაება დგას პროფილში მარცხნივ. გემა დაზიანებულია. მხოლოდ ნატეხია შემორჩენილი. ფრაგმენტულად იკითხება. მარჯვენა დაშვებულ ხელში დაფნის ტოტი უჭირავს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი – ფოთლებია შემორჩენილი. ახ. წ. I ს.[16]; ურბნისის სამაროვანზე 1958 წელს გათხრილ №51 სამარხში თეთრი გამჭვირვალე მინის ოვალური ფორმის ბრტყელ ინტალიოზე ბრინჯაოს ბეჭედში (ინვ. №973) (სურ. 10). ღვთაება დგას, მარცხენა იდაყვით სვეტს ეყრდნობა, მარჯვენა, წინ წამოწეულ ხელში დაფნის ტოტი უჭირავს. ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ საგრძნობლად ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ინტალიოს სიგრძე – 12 მმ, სიგანე – 9 მმ. ბეჭდის იამეტრი – 22 მმ, სიმაღლე – 26 მმ. როგორც ინტალიო, ისე ბეჭედი ახ. წ. II საუკუნით თარიღდება.[17]

ღვთაება აპოლონის გამოსახულებიანი ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედში აღმოჩენილია, აგრეთვე, ჟინვალის სამაროვანზე, ორმოსამარხი №153. 7.IX.77. სამარხი ახ. წ. II საუკუნით თარიღდება. (09-XXV-77-244) მრგა-

[14] A. Zakharov. Gemmen und Siegeln des Museums Georgiens. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოაბე. V. თბ. 1930. ტაბ. IV. 26 (241-268).

[15] მ. ლორთქიფანიძე. 1970-1977 წლებში სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემების კატალოგი. იბერია-კოლხეთი. №10. 2014, გვ. 98-99 (96-110).

[16] ქ. მათითაშვილი. მცხეთის აკლდამა. თბ. 2016, გვ. 24, სურ. 16; ა. გაბუნია. გლიპტიკის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან. იბერია-კოლხეთი. №13. 2017, გვ. 87-98.

[17] ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972, გვ. 40, ტაბ. III. 42.

ვალგანიკვეთიან ვიწრო რკალზე ოვალური ფორმის თვალბუდეა დაჩრჩილული, რომელშიც მინის გამჭვირვალე ოვალური ფორმის ინტალიო. ბეჭედი დაზიანებულია, ინტალიოს სიგრძე – 10 მმ, სიგანე – 7 მმ.[18]

აპოლონი ხშირად გამოისახებოდა გემებზე. ერმიტაჟის მუზეუმში დაცულია სარდიონის ინტალიო აპოლონის თავის გამოსახეულებით, რომელიც დამზადებულია გილის (ავგუსტუსის ეპოქის ცნობილი რომაელი ქვისმჭრელი) სახელოსნოში, რომელზეც მფლობელის ლათინური მონოგრამის გარდა ამოჭრილია ქვის მჭრელი ოსტატის სახელი.[19]

გვიან ანტიკურ ხანაში იბერიასა და კოლხეთში ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან ერთად რომის იმპერიიდან შემოდის, აგრეთვე, ინდოევროპული წარმოშობის სინათლისა და მზის ღვთაება მითრა (უკვე მეორედ ანტიკურ პერიოდში). ხშირია მითრას შერწყმა მზის ბერძნულ-რომაულ ღმერთებთან – ჰელიოსთან და სოლთან, რის შემდეგადაც მიღებულ იქნა სინკრეტული თვთაება მითრა-სოლი, მითრა-ჰელიოსი. გვიან ანტიკურ ხანაში მითრა იკონოგრაფიულად მზის სხივებით ძირთადად სოლთან და ჰელიოსთან შერწყმის შედეგად გამოისახებოდა.[20] ჩვენი აზრით, გვიან ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე რომის იმპერიიდან შემოვიდა უკვე ელინიზებული სინკრეტული ღვთაება მითრა-ჰელიოსი, მითრა-სოლი.

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი გემები, რომელთაც მკვლევართა ნაწილი ღვთაება მითრას უკავშირებს. მხედველობაში გვაქვს 11 გემა, რომელთა შორის 4 – სარდიონისაგან დამზადებული გემა – აღმოჩენილია მცხეთაში (სურ. 11 (ინვ. მმ. №3711) II-III-ის მიჯნა, სურ. 12 (ინვ. მმ. №5240) II-III-ის მიჯნა, სურ. 13 (ინვ. მმ. №6725) III-IV სს., სურ. 14 (ინვ. მმ. №587) III-IV სს. მათგან სურ. 11, 12, 13 დაცულია მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში, ხოლო 14 საქართველოს ეროვნულ მუზეუმში), 5 ურბნისში (5 გემიდან (სურ. 15 (ინვ. №1040), სურ. 16 (ინვ. №1010), სურ. 17 (ინვ. №1074), სურ. 18 (ინვ. №1009), სურ. 19 (ინვ. №1107), ოთხი (სურ. 15, 16, 17, 18 მომწვანო-თეთრი გამჭვირვალე მინისგან არის დამზადებული (ახ. წ. I-II სს.), ხოლო მეხუთე სურ. 19 სარდიონზეა ამოკვეთილი (ახ. წ. III ს.), 1 ქუთაისში (სურ. 20)

[18] ვ. ჩიხლაძე. ჟინვალის სამაროვანი. თბ. 2015, გვ. 15-16.
[19] О. Я. Неверов. Геммы античного мира. Москва. 1983, გვ. 18.
[20] I. Roll. The Mysteries of Mithras in the Roman Orient: the Problem of oriens. Journal of Mithraic Studies. Vol. 2. 1977, გვ. 63-68.

(ინვ. №267) (ახ. წ. II-ის ბოლო-III-ის დასაწყისი) მოპოვებულია ქუთაისის მიდამოებში, ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში და წარმოადგენს მოწითალო ფერის ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოს) და 1 ჟინ-ვალშია (სურ. 21 (ინვ. №1854) სარდიონის ინტალიო, ახ. წ. II ს.) აღმოჩენილი. ჩვენთვის ცნობილია იკონოგრაფიულად მსგავსი გამოსახულებიანი გემები ბერლინისა (როზენის კოლექციიდან) და ბონის (კერძო კოლექციიდან) მუზეუმებიდან.

გლიპტიკური ძეგლები ახ. წ. I-IV საუკუნეებით თარიღდება. მათზე გამოსახული იკონოგრაფიული სიუჟეტის დასადგენად გასათვალისწინებელია გვიან ანტიკურ პერიოდში რომის იმპერიასა და საერთოდ რეგიონში არსებული პოლიტიკური და რელიგიური სიტუაცია. გვიან ანტიკურ ხანაში იბერია ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა იყო მეზობელი ქვეყნებისა და იმპერიებისათვის, სადაც გაბატონებისთვის ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ერთი მხრივ, პართია (მოგვიანებით სასანიანთა იერანი), ხოლო მეორე მხრივ, რომის იმპერია, რომელშიც რელიგიური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული სახელმწიფოს ძლიერებისკენ მიმავალ გზაზე სახელმწიფო მამების მიერ საკუთარი, ადილობრივი წარმართული პანთეონის გაძლიერება. რაც ქართლის ცხოვრების მიხედვით, ერთხელ უკვე გააკეთა ფარნავაზმა – მეფე რეფორმატორმა, რომელმაც იცოდა რა რელიგიის როლი ქვეყნის განვითარებისთვის, სახელმწიფო რეფორმასთან ერთად რელიგიური რეფორმაც გაატარა და მთავარ სახელმწიფო კულტად არმაზი აღიარა. ჩვენ არმაზის კულტთან დაკავშირებით არსებულ თვალსაზრისებს არ შევეხებით. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, არმაზი ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ქართული ღვთაებაა, რაც დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მხედრისგამოსახულებიან გემებზე არსებული სიუჟეტების შესწავლის შედეგად ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ქართული წარმართული ღვთაებათა პანთეონი თავს ვერ დააღწევდა იმ რელიგიურ სინკრეტიზმს, რომელიც ელინისტური ხანიდან მოყოლებული არსებობდა ანტიკურ სამყაროში. შესაბამისად, გემებზე გამოსახულ მხედარს ჩვენ ვერ ვუკავშირებთ მითრას პურიტანული გაგებით. ახ. წ. I საუკუნიდან ჩვენთან გავრცელებას იწყებს ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი მხედრის კულტი – ცხენზე ამხედრებული

მხედრის გამოსახულება (ახ. წ. I-II სს.), რომელიც დროთა განმავლობაში სინკრეტიზაციას განიცდის ასტრალურ კულტებთან (მზე – მხედრის სხივებიანი თავსაბურავი) და იქმნება ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი სინკრეტული ღვთაება, რომელიც შესაძლოა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ერთ-ერთ წარმმართველ ადგილს იკავებს ქვეყნის რელიგიურ პანთეონში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტსაც, რომ გემები, რომლებზეც აღნიშნული ღვთაებაა გამოსახული, ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენდეს.[21]

[21] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ: მ. მშვილდაძე. მცხეთაში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი გემების შესწავლის საკითხისათვის. ქართველოლოგიურ კვლევები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. XXI. თბ. 2017, გვ. 226-234; მ. მშვილდაძე. მხედრის იკონოგრაფიული გამოსახულებები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკის ნიმუშებზე. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წელი“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბ. 2018 წლის 26-29 სექტემბერი. მასალები. II. თბ. 2018, გვ. 88-89; 216. ნაშრომი დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2. თბილისი. 2018, გვ. 49-60.

სურ. 1. ჰელიოსი შვიდსხივიანი გვირგვინით. რომაული ქანდაკება ქვემო ეგვიპტიდან, ახ. წ. II-III სს. ლუვრი. პარიზი.

სურ. 2. აპოლონ-სოლი. ჰელიოსის შვიდსხივიანი გვირგვინით. იატაკის რომაული მოზაიკა. ტუნისი. ახ. წ. II ს.

სურ. 3. გონიოს განძში (ახ. წ.II-III სს.) აღმოჩენილი ჰელიოსის გამოსახულებიანი ოქროს მედალიონი (გულსაკიდი).

სურ. 4. რომაული ვერცხლის დისკო. ახ. წ. III ს. პესინუსიდან (Pessinus (Balahisar), მცირე აზია. ბრიტანეთის მუზეუმი, ლონდონი.

სურ. 5. რომაული ჭრაქი მიუნხენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმიდან (Antikensammlungen), ახ. წ. II ს.

სურ. 6, 6 ა. სოლის (ჰელიოსი) გამოსახულებიანი სარდიონის ინტლიო ვერცხლის ბეჭედში. მცხეთა, სამთავროს სამაროვანი. ახ. წ. III ს.

სურ. 7, 7ა. ჰელიოსი (სოლი) გამოსახულებიანი ტოპაზის ინტალიო ოქროს მედლიონში. სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი. ახ. წ. I- II სს.

სურ. 8. აპოლონის გამოსახულებიანი ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიო ვერცხლის ბეჭედში. ახ. წ. III ს.

სურ. 9. აპოლონის გამოსახულებიანი გრანატის, პიროპი ინტალიო. მცხეთის აკლდამიდან. ახ. წ. I ს.

სურ. 10. აპოლონის გამოსახულებიანი თეთრი გამჭვირვალე მინის ინტალიო ვერცხლის ბეჭედში. ახ. წ. II ს.



სურ. 11. მცხეთაში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი სარდიონის ინტალიო რკინის ბეჭედში. ახ. წ. II-III სს-ის მიჯნა.

სურ. 12. მცხეთაში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებისნი სარდიონის ინტალიო. ახ. წ. II-III სს-ს მიჯნა.

სურ. 13. მცხეთაში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი სარდიონის ინტალიო რკინის ბეჭედში. ახ. წ. III-IV სს.

სურ. 14. მცხეთაში აღ-მოჩენილი მხედრის გა-მოსახულებიანი სარ-დიონის ინტალიო ვერ-ცხლის ბეჭედში. ახ. წ. III-IV სს.

სურ. 15. ურბნისში აღმოჩე-ნილი მხედრის გამოსახუ-ლებიანი მომწვანო-თეთრი მინის ინტალიოს ანაბეჭდი. ახ. წ. I-II სს.

სურ. 16, 17, 18. ურბნისში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი მომწვანო-თეთრი მინის ინტალიოს ანაბეჭდი. ახ. წ. I-II სს.

სურ. 19. ურბნისში აღ-მოჩენილი მხედრის გა-მოსახულებიანი სარ-დიონის ინტალიო. ახ. წ. III ს.

სურ. 20.ქუთაისში აღმო-ჩენილი მხედრის გამო-სახულებიანი სარდიონ-ის ინტალიოს ანაბეჭდი. ახ. წ. II-ის ბოლო-III-ის დასაწყისი.

სურ. 21. ჟინვალში აღმოჩე-ნილი მხედრის გამოსახულებიანი სარდი-ონის ინტალიო ახ. წ. II ს.

Marika Mshvildadze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

TOWARDS THE ISSUE OF THE SPREAD OF THE SUN CULT IN IBERIA AND COLCHIS IN LATE ANTIQUITY

Summary

In the Greco-Roman pantheon of deities, Helios, Sol, and Apollo are connected with the cult of the sun, whose introduction in Iberia and Colchis begins in the Early Antiquity. In the Late Antiquity, the gods related to the sun cult that entered the Roman Empire from the Hellenistic period were added to the mentioned deities on the territory of Georgia too. They were as follows: Aryan Mithras, Syrian Baal, Elagabalus, Asia Minor Men, Phrygian Jupiter Dolichenus, Thracian-Phrygian Sabazios, etc.

Artifacts related to solar deities have been attested both on the territory of eastern and western Georgia. Although not in large numbers but some amount of artifacts are discovered, among which was a golden medallion (pendant) with the image of Helios found in the Gonio hoard (2nd-3rd centuries AD) in 1974 during the construction of a road near Apsaros fortress, on a nearby mountain, along with other excellent examples of goldsmithing. The images of Helios (Sol) are mainly recorded on the glyptic monuments found on the territory of Iberia. One of them was found in Mtskheta, on the territory of the Samtavro necropolis in 1939 in the southern section of the territory of the Samtavro, in a damaged Stone box grave A. It is an oval-shaped bulging carnelian intaglio inserted in a silver ring dated back to the 3rd c. Another one is an intaglio of topaz, that adorns a gold medallion and is found in Usakhelo Village. The images of the god Apollo were found on a bronze ring (2nd century AD) on a flat intaglio of white transparent glass in tomb No. 51 excavated in 1958 at Urbnisi necropolis. The introduction of deities related to the cult of the sun into our culture should be a result of a political union between Iberia-Colchis and the ancient world.

To study the issue, our attention was drawn to 11 gems with the image of an equestrian found on the territory of Georgia. Among which 4 were found in Mtskheta, 5 in Urbnisi, 1 in Kutaisi, and 1 in Zhinvali. Also, we paid attention to two samples of such Gems from the Berlin and Bonn museums with a provenance from Georgia. As a result of the study of the artifacts, it became clear that from the 1st century onwards, the cult of the horseman – the image of a horseman on a horse – began to spread, which over time undergoes syncretization process with astral cults (Sun – the rider's headwear with the rays) and a syncretic deity was formed on local land.